

საქართველოში საბჭოთა ხელოვნების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საქალაქო სპარტაკადაზე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა პროგრამის 19 სახეობაში მიიღეს მონაწილეობა და პირველი ადგილები დაიკავეს ქართულ ჭიდაობაში, ხელბურთში (7x7), კალათბურთში, ფრენბურთში, ტანვარჯიშში, მაგიდის ჩოგბურთსა და ძალოსნობაში. მათვე მოიგეს საერთო გუნდური პირველი ადგილიც.

მრავალმა სტუდენტმა ისახელა თავი და გამოავლინა კარგი სპორტული მონაცემები. თ. რაქმანოვა ჩარიცხეს საქართველოს მძლეოსნთა ნაკრებ გუნდში. აჭარის ნაკრებ გუნდებში მოხვდნენ კალათბურთელები რ. კალანდაძე, თ. მახარაძე, დ. მარშანი, მ. ფარცხავა, ფრენბურთელები — ზ. ქემაძე, ჯ. ზაქარაძე, გ. ჟღერტი, ნ. ჩიმიროვა, ძალოსნები — ლ. კურცხაიძე, ს. ლორთქიფანიძე, მ. ფარტენაძე, ი. ბოლქვაძე, ა. გეგიძე. აქ სწავლობს ბათუმისა და აჭარის სამეცნიერო ინსტიტუტში გ. ქანტურია.

ფიზიკოსი და სპორტის კათედრის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები. ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი მოქიდავე ნ. ჭყონია არის სპორტკლუბის გამგეობის წევრი და ერთერთი სექციის ხელმძღვანელი. ჭადრაკის სექციას აშეცავს გ. ქანტურია, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტ ვ. გოლიაძის ინიციატივით ჩამოყალიბდა ხელბურთელთა სექცია (7x7).

სპორტსმენებს მუშაობაში მაგალითს თვით ხელმძღვანელები უჩვენებენ. კათედრის გამგე ზ. მამუკაძე და სპორტთამაშების სექციის უფროსი მასწავლებელი გ. მენაბდე ასლაც ხშირად იგონებენ ერთ ეპიზოდს: მიმდინარეობდა საიუბილეო სპარტაკადა, სადაც გამოდიოდნენ ისეთი ძლიერი ორგანიზაციები, როგორცაა „დინამო“, „განთავიდი“, „სპარტაკი“.

საზღვაოსნო სასწავლებელი... პედაგოგიური ინსტიტუტის ხელბურთელები ხედბოდნენ საზღვაოსნო სასწავლებლის გუნდს. სტუდენტთა გუნდს აკლდნენ წამყვანი მთამაშეები — მეკარე ზ. რუსია და თავდამსხმელი ა. თავართქილაძე. სტუდენტები მეორე ნახევრის მიწურულში თამაშს აგებდნენ ანგარიშით 7:4. ამ დროს გუნდს შეემატა ახალი ძალა — „მეკარე“ ზ. მამუკაძე და „თავდამსხმელი“ გ. მენაბდე. სტუდენტები გამხვედნენ, გამოცოცხლდნენ და მოწინააღმდეგის კარში ზედინდელ ვაიტანეს ბურთები. როცა მსაჯის ფინალური სასტვენის — ხმა გაისმა, პედინსტიტუტელები 3 ბურთით იყვნენ წინ.

ასეთი შემთხვევა ხშირად ყოფილა! ინსტიტუტის ფიზიკოსი და სპორტის კათედრა დიდ ყურადღე-

ფიზიკოსურისა და სპორტის მუშაკებო, სახელოვანი კომუნისტური პარტია მოგილოდებს მთელი კალენდრი დაკრავით მუროველთა ფიზიკურად გაააქუბისათვის!

ბას აქცევს სტუდენტთა სპეციალიზაციის საკითხს. ინსტიტუტის ძირითადი კონტინგენტი მოდის მაღალმთიან რაიონებიდან, სადაც ჯერ კიდევ განიცდიან ფიზიკურტურის სპეციალისტთა სიმცირეს. ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის



სტუდენტის ფიზიკურ შესაძლებლობას და სპორტულ მონაცემებს. ამის შემდეგ კათედრის გადაწყვეტილებით ხდება სტუდენტთა სპეციალიზებულ ჯგუფებზე მიმავრება.

იმის გამო, რომ ინსტიტუტში არსებული ბაზები ვერ აკმაყოფილებენ მაღალკურსულ სტუდენტთა აკადემიური მეცადინეობის სრულად ჩატარებას, საათების გარკვეული რაოდენობა ხმარდება სემინარული, ლია და საჩვენებელ მეცადინეობათა ჩატარებას. აქ ხდება სტუდენტთა თეორიული და

სტიტუტის სპორტსმენები ემზადებიან აჭარის საოლქო სპარტაკადასათვის, რომელიც მიმდინარეობს ზამთრის პირველ რესპუბლიკურ სპარტაკადას. დაკომპლექტდა მოთხილამურეთა ნაკრები გუნდი, შეიქმნეს საჭირო ინვენტარი და თოვლის მოსვლისთანავე შეუდგებიან საწვრთნელ ვარჯიშს.

სტუდენტი სპორტსმენები ემზადებიან აგრეთვე სტუდენტთა რესპუბლიკური და საკავშირო III სპორტული თამაშებისათვის, რომელიც 1962 წელს ჩატარდება თბილისში. ბათუმელი სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, სიმძიმეთა აწევვაში, მაგიდის ჩოგბურთში, ხელბურთში (7x7).

სტუდენტთა მებრძობრული კოლექციონი

მომავალ პედაგოგთა მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ძირითად პროფესიასთან ერთად რომელიმე სპორტული სექციის ხელმძღვანელობასაც და სასკოლო შეჯიბრებების ორგანიზაციას.

სტუდენტთა შორის სპორტული მსაჯების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მომზადებასა და მასობრივ მუშაობას წარმართავენ შემდეგნაირად: სასწავლო წლის პირველი 4 კვირის განმავლობაში სამედიცინო შემოწმების პარალელურად ატარებენ მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, სპორტული თამაშების პრაქტიკულ მეცადინეობას და აწყობენ შეჯიბრებებს. ამ დროის მიხედვით ესწრებიან ფაკულტეტზე სპორტმასობრივ მუშაობაში პასუხისმგებელი მასწავლებელი და სპეციალისტის ხელმძღვანელი, აგრეთვე მწვრთნელ-მასწავლებლები. ისინი აღრცხვენ თვითესული

პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება. ბოლოს სტუდენტები გაივლიან საკლასიფიკაციო კომისიას და მიენიჭებათ საზოგადოებრივი ინსტრუქტორისა თუ მსაჯის წოდება.

ამჟამად ინსტიტუტს ჰყავს მაღალთანრიგისა და საზოგადო ინსტრუქტორთა საკმაოდ მრავალი რიცხოვანი კოლექტივი. ეს სტუდენტები პედაგოგიური პრაქტიკის დროს აქტიურად ეხმარებიან სკოლების მასწავლებლებს სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზაციასა და ჩატარებაში, აწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს სკოლებსა და საწარმო დაწესებულებათა სპორტულ კოლექტივებთან, აშადადებენ სპორტულ ბიულეტენებს, ფოტოსურათებს, სპორტის მოყვარულთათვის მართავენ კითხვა-პასუხის საღამოებს.

ასლა ბათუმის პედაგოგიური ინ-

სურათებზე: (მარცხნივ) — პირველთანრიგის სპორტსმენები თავისუფალ ჭიდაობაში ნ. ჭინჭარაძე (ზემოდან) და ნ. ჭყონია ვარჯიშის დროს, (მარჯვნივ) — ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტთამაშების სექციის ხელმძღვანელი გ. მენაბდე ატარებს მორიგ ვარჯიშს. მას ყურადღებით უსმენენ პირველთანრიგის კალათბურთელები თ. მახარაძე (მარცხნივ), ე. მაკავარიანი და მ. ფარცხავა (ორივე მარჯვნივ).

ფოტო რ. ჩაჩუასი.

განუყრელია შრომა და სპორტი

ჭუთაისის სალოკომოტივო დეპოს ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა ქალაქში. აქ სხვადასხვა სპორტულ სექციებში გაერთიანებული არიან მოწინავე მსიშვეროსანი მემანქანეები, რომლებიც თავისუფალ საათებში დიდი ინტერესით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობას.

დემოს ახალგაზრდობას ძლიერი იტაცებს კალათბურთი და ფეხბურთი. ამ სახეობებში დეპოელებს არაერთხელ დაუკავებიათ საპრიზო ადგილები საქალაქო შეჯიბრებებში. დემოს ტერიტორიაზე მოწყობილ კალათბურთის მოედანზე საწვრთნელი ვარჯიშის გარდა ხშირად ტარდება ამხანაგური შეხვედრები.

სპორტი ახალგაზრდობას შრომის ნაყოფიერების ზრდაში ეხმარება. მოწინავე ფიზკულტურელებს — მეღმამავლებს ხშირად დაჰყავთ მძიმეწონიანი შემაღლებლობა ბ. მათ ანჯარიშზე ათასობით ტონა გადაზიდული ზეგამებით ტვირთი.

ი. ბუხაიძე

კალენდრის მომზადებისათვის

სკოლის ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა დახელოვნების მიზნით საქართველოს განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან ყოველწლიურად ეწყობა ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ერთთვიანი კურსები, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან ჩამოყალიბებული მუდმივმოქმედი 3-თვიანი კურსები.

უქანასკენელი 5 წლის განმავლობაში ასეთი კურსები ფიზიკური

კულტურის 1.100-ზე მეტმა მასწავლებელმა გაიარა, რაც რესპუბლიკის სკოლებში მომუშავე ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის ნახევარს შეადგენს.

კადრების ვადამზადების არსებული სისტემით ყოველ 5 წელიწადში საშუალება გვეძლევა ვადამზადოთ ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა მთელი კონტინგენტის 50 პროცენტი, რაც ფრად კეთილსახურველ გავლენას ახდენს მასწავლელთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაზე.

ბიბლიოთეკით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, სპორტული ბაზებით). ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან გამოცდილი პედაგოგები: გ. ნიკოლაიშვილი, ზ. კოვზირიძე, დ. მიქაბერიძე, ა. ჯორჯაძე, შ. დიასამიძე, ა. რატია, შ. ელიაშვილი, ვ. ვაშაძე, ა. ნემსაძე, თ. მაჩაბელი და სხვები.

ადგილებზე მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შესწავლამ მკაფიოდ დაგვანახვა, რომ მასწავლებლები, რომლებმაც დახელოვნების კურსები გაიარეს, სკოლაში დაბრუნების შემდეგ უფრო კარგად მუშაობენ და მეტ წარმატებებს აღწევენ სასწავლო-საღმრძედლო მუშაობაში.

სამწუხაროდ, სახალხო განათლების ზოგიერთი განყოფილება და სპორტკავშირი ჯერჯერობდა არ აფ-

საბჭოთა სკოლის წარმატებები გულს უხარია

ბ. რსნილაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის არაერთ-გზის აბსოლუტური ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში

მე მახსოვს დღეები, როცა საბჭოთა ტანვარჯიშული სკოლა პირველ ნაბიჯებს დგამდა და უცხოელი სპეციალისტები მასზე სახსვითაშორისოდ ლაპარაკობდნენ. მაგრამ მაშინ უოველმა ჩვენგანმა იცოდა, რომ შორს არ იყო დრო, როცა საბჭოთა სკოლა საქვეყნოდ იტყოდა თავის სიტყვას და აალაპარაკებდა მთელს მსოფლიოს; იცოდა იმით, რომ უკვე მაშინ იურებოდა ჩვენი სპორტსმენების დაუღალავი, შემოქმედებითი შრომით დღევანდელი წარმატებების საფუძველი.

და აი, დღეს ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა სპორტი ამჟამად თავისი ტანვარჯიშებით, რომლებიც მსოფლიო ტანვარჯიშული მოძრაობის ავანგარდში დგანან და ღირსეულად მიჰქვთ ჩვენი სპორტის დიდების დროსა. ლ. ლატინინა, პ. ასტახოვა, თ. ლიუხინა, ბ. შახლინი, ი. ტიტოვი და მათთან ერთად — ნიკოლოზი, დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდობა — ესაა ექსტრაკლასი, რომლის ბადალიც იშვიათად მოიხსენიება მთელს მსოფლიოში.

ეს გარემოება კიდევ უფრო ნათლად დაადასტურა გუშინდელმა ვარჯიშებმა, რომლებიც ამ გამორჩენილმა ოსტატებმა შეასრულეს თბილისის სპორტის სახახლეში. უყურებთ უმაღლესი სპორტული ოსტატობით შესრულებულ მოძრაობებს და გულს ახარებს საბჭოთა ტანვარჯიშული სკოლის წარმატებები!

პ. ასტახოვა ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მრავალჭიდიოსანია, მაგრამ იგი განსაკუთრებით ძლიერია ორძელზე და დვირზე ვარჯიშებში. პ. ასტახოვამ რომის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა ორძელზე ვარჯიშში.

სურათში: პ. ასტახოვა ნაირსიმაღლის ორძელზე.

ჩემპიონატის

გუშინ, თბილისის სპორტის სახახლეში დაიწყო მიმდინარე წლის სპორტული სეზონის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ასპარეზობა — საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონატი ტანვარჯიშში. ჩვენი დელეგატი სპორტის ამ სახეობის მრავალათასიან გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში მოექცა.

გუშინ თბილისელმა მაყურებელმა იხილეს მსოფლიოში უძლიერესი საბჭოთა ტანვარჯიშული სკოლის საუკეთესო წარმომადგენელთა გამოსვლები, რომლებსაც მთელი საღამოს მანძილზე თავის ტყვეობაში ჰყავდა ტრიბუნები.

თავდაპირველად, ჩემპიონატის შემადგენლობის შესახებ:

ქალთა შორის უძლიერესის სახელს ერთმანეთს ეპაექრება მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიისა და საქართველოს 17 ტანვარჯიში, რომლებმაც ჯერ კიდევ მოსკოვის პირველობაზე მოიპოვეს უძლიერესთა ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება. ესენი არიან: ლ. ლატინინა, პ. ასტახოვა, თ. ლიუხინა, ე. ვოლჩეცკაია, ი. პერვუშინა, მ. ნიკოლაევა, თ. მანინა, რ. ბორისოვა, ე. კოროტკოვა, ტ. ივანოვა, ლ. პეტუხოვა, გ. ტიხონოვა, ვ. შებოვცევა, გ. ბულიჩევა, ს. შევჩენკო, მ. ნინოშვილი და ა. ჯანუაშვილი.

ვაჟთა შორის 17 უძლიერესი შეადგინეს: ბ. შახლინი, ი. ტიტოვი, ი. ცაპენკო, ვ. ლონტრევა, ა. მილიგულოვი, ი. მაკურინი, ი. იანოვიჩი, ი. სოიდაძე, გ. მიხაილოვი, რ. კაქანიძე, ნ. მკალათია, ლ. არკაძე, ვ. მარტვილა, პ. ლობათოვა,

ა. კულაკოვა, ი. საბიროვა და ი. ბალიაურა.

ასპარეზობა გახსნეს ქალებმა. როგორც ცნობილია, პირველი დღის პროგრამა ითვალისწინებდა სავალდებულო ვარჯიშების შესრულებას. მაყურებელთა ყურადღება თავიდანვე მიპყრობილი იყო ცნობილი «კვინტეტის» — ქალთა შორის მსოფლიო მასშტაბით უძლიერეს მრავალჭიდიოსანთა — ლ. ლატინინას, პ. ასტახოვას, მ. ნიკოლაევას (სამივე უკრაინიდან), თ. ლიუხინასა და ი. პერვუშინას (რსფსრ) «ეპიკრობას» ლიდერობისათვის.

პირველი იარაღის შემდეგ საუკეთესო შეფასება ჰქონდა ი. პერვუ-

ა ლ ა მ ი

შინას. ის გამაღიოდა ჯგუფში, რომელმაც ვარჯიშები დაიწყო ნაირსიმაღლის ორძელზე. ი. პერვუშინას 9,6 ქულა საერთოდ უმაღლესი შეფასება აღმოჩნდა სავალდებულო პროგრამაში. 9,5 ქულა პირველი ვარჯიშის შემდეგ ჰქონდა ერთბაშად ხუთ სპორტსმენს, რომლებმაც შეადგინეს ლიდერთა მეორე «ემულიონი»: ლ. ლატინინას, ლენინგრადელს თ. მანინას და კ. ივანოვას, ბელორუსელ ე. ვოლჩეცკაიას (ოთხივე ბჯენით ხტომებში) და მოსკოველ ლ. პეტუხოვას (ნაირსიმაღლის ორძელზე). როგორც ვხედავთ, ლიდერთა შორის ვერ მოხვდა ვერც პ. ასტახოვა, რომელმაც 9,4 ქულა მიიღო ბჯენით ხტომებში, ვერც თ. ლიუხინა (9,3 ბჯენით ხტომებში) და ვერც მ. ნიკოლაევა,



რომელმაც მიიღო საკმაოდ დაბალი შეფასება — 9 ქულა, საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ სამი სპორტსმენიდან სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ მხოლოდ ლიუხინამ შეძლო ლიდერებს დაწეოდა. პ. ასტახოვა ამ ვარჯიშების შემდეგ 37,1 ქულით მიიღო მხოლოდ მე-7 ად-

კვლავ ახალგაზრდა ბელორუსელი სპორტსმენი — ე. ვოლჩეცკაია იყო (28,35 ქულა), რომელსაც მხოლოდ 0,05 ქულით ჩამორჩებოდა ლ. პეტუხოვა.



ლიდერს თავისუფალ ვარჯიშში მიღებული 9,2 ქულის შემდეგ (ოთხ იარაღზე ვარჯიშის ჩამოშორებით) ფინალში ერთბაშად სამმა მეტოქემ გადაუსწრო. ამავე ვარჯიშში ლატინინას ჰქონდა შეფასება 9,5. სავალდებულო პროგრამის ჩამოშორებით მოექცა უძლიერესთა ცხრილს. 37,6 აქვთ თ. ლიუხინასა და ლ. პეტუხოვას, 37,5 — ი. პერვუშინასა და თ. მანინას და ა. შ.

აღსანიშნავია ახალგაზრდა ქართველი ტანვარჯიშის ა. ჯანუაშვილის წარმატება. მას 36,85 ქულა აქვს და უძლიერესთა ათეულში მე-9 ადგილზეა. მ. ნინოშვილს აქვს 36,7 ქულა.

გუშინ გვიან ღამით დამთავრდა სავალდებულო პროგრამით ვაჟების გამოსვლა.

შ. ჯუღელი

ადმართუდია



ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენი ნ. მაკალათია მეტად პერსპექტიული ახალგაზრდა ტანვარჯიშედაა მიჩნეული. იგი შეეცანილია ჩვენი ქვეყნის ნაკრებში და სისტემატურად გადის წვრთნას მის შემადგენლობაში.

სურათში: ნ. მაკალათია ამთავრებს ვარჯიშს ღერძზე.

რეკორდსმენი საპრიზო ადგილის გარეშე

ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრების პირველ დღეს მსოფლიო რეკორდების ცხრილი არ შესწორებულა. ეს მხოლოდ შემთხვევითობით აისხნება, რადგან ქვემსუბუქი წონის სპორტსმენს ე. მინაევს აქივიაში ნახევარი კილოგრამით გაუმჯო-

ბესებულო მსოფლიო რეკორდი (122 კგ) არ ჩაეთვალა — ოლიმპიელის საკუთარი წონა 300 გრამით სჭარბობდა დადგენილს. მსოფლიო რეკორდების შტურში წარმატებით განახორციელეს მსუბუქი წონის ძაღსებმა. არმიელმა სპორტსმენმა ვ. კაპლუნოვმა სამი ცდის ამოწურვის შემდეგ მოითხოვა ფიცარანაზე 134-კილოგრამიანი შტანგა დაეღოთ. ეს ნახევარი კილოგრამით სჭარბობდა მისივე მსოფლიო რეკორდს აქივიაში. კაპლუნოვმა დაძლია ეს სიმძიმე, მაგ-

რამ ახალმა რეკორდმა მხოლოდ ოთხი წუთი იარსება. უფელმა ძაღსანმა ე. ვირკომ ეს შედეგი კიდევ ნახევარი კილოგრამით გაუმჯობესა და მსოფლიო რეკორდსმენსა სიაში მანამდე უცნობი გვარიც ჩაიწერა. მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევის მიუხედავად, ახალი რეკორდსმენი პრიზოთა რიგებშიც ვერ მოხვდა. სამკიდის შედეგების მიხედვით ადგილები ასეთი თანამიმდევრებით განაწილდა: ს. ლობათინი — 405 კგ, ვ. კაპლუნოვი — 405 კგ

(მეტი საკუთარი წონით) და ვ. ბუშუვეი — 395 კგ. ქვესაშუალო წონაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა და ოქროს მედალი დაისაკუთრა უკრაინელმა სოფლის სპორტსმენმა ვ. ხომჩენკომ, რომელმაც სამკიდში 425 კილოგრამი დააგროვა. მომდევნო წონაში მოწინააღმდეგეებზე ერთი თავით მაღლა იდგა „ტრუდის“ წარმომადგენელი რ. პლიუცველდერი. ნიჭიერმა სპორტსმენმა ორი ხელით ატაცა 142 კილოგრამი აჩვენა და ახალი მსოფ-

ლიო რეკორდი დაამყარა. გარდა ამისა, მის მიერ ნაჩვენები შედეგი სამკიდში — 462,5 კილოგრამი, ორი კილოგრამით აღემატება ამერიკელი ტ. კონოს მსოფლიო რეკორდს. დანარჩენი წონითი კატეგორიის ძაღსანთა შეჯიბრება გუშინ გვიან ღამით დამთავრდა.

